პირდაპირი და ირიბი დირექტივები ქართველ და ამერიკელ პოლიტიკოსთა ინსტიტუციონალურ დისკურსში

მარიამ ხუნჯუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფოლოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ხუნჯუა

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას დააკავშიროს დისკურსის თანამედროვე გაგება სამეტყველო აქტების თეორიასთან. კვლევა განხორციელდა დისკურსის ერთი ტიპის - პოლიტიკური დისკურსის - ფარგლებში. საკვლევი მასალა მოძიებულია ქართველი და ამერიკელი პოლიტიკოსების ინსტიტუციონალურ ტექსტებში. ნაშრომში განხილულია სამეტყველო აქტის კერძო ტიპის - დირექტივების - ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები. კერძოდ, ინსტიტუციონალური დისკურსის შემადგენლობაში გამოყოფილია პირდაპირი და ირიბი დირექტივები, ხოლო მათ ფარგლებში ერთმანეთისაგან გამიჯნულია „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ დირექტიული გამონათქვამები, რომლებიც წარმოდგენილია პრესკრიპტივების, საჯესტივებისა და რიკვესტივების სახით.

Abstract

The work is an attempt to link the modern understanding of discourse with the theory of speech acts. The study was carried out within the frame of one type of discourse -political discourse. The linguistic material was obtained from the Georgian and American politicians' institutional texts. The research is dedicated to the investigation of functional-semantic characteristics of the concrete type of speech acts – directives. The directives are presented as the opposition of direct and indirect directives. The research revealed "positive" and "negative" contents in the both type of directives. The surface structure of the reviewed types can be classified as prescriptions, suggestions and requests.